სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №

თბილისი

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების (ცენტრები, კოლეჯები, ფაკულტეტები, ინსტიტუტები, სამსახურები) დამოუკიდებელი ვებგვერდების, დომენური სახელების, ელექტრონული ფოსტის მისამართების და ჰოსტინგ-სერვისის სისტემატიზაციის მიზნით

1. დაევალოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებელი ვებგვერდები, არასაუნივერსიტეტო დომენები და სამსახურებრივი საქმიანობისთვის იყენებენ არასაუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის მისამართებს, უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დახმარებით, უზრუნველყონ:

ა) დამოუკიდებელი ვებგვერდების ინტერნეტ-მისამართების შეცვლა უნივერსიტეტის ქვედომენური სახელებით (მაგ.seismo.iliauni.edu.ge), 3 თვის ვადაში;

ბ) სამსახურებრივი საქმიანობისთვის საუნივერსიტეტო ელექტრონული საფოსტო მისამართების გამოყენება, 3 თვის ვადაში;

გ) მოქმედ, დამოუკიდებელ დომენურ სახელის მისამართებზე (მაგ.http://seismo.ge) გადამისამართების ფუნქციის დაყენება, შესაბამის საუნივერსიტეტო ქვედომენურ მისამართზე, ერთი წლის ვადით;

დ) არასაუნივერსიტეტო დომენური სახელების გაქმება, ერთი წლის ვადაში.

2. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის სისტემაში არსებული სტრუქტურული ერთეულებისთვის (ცენტრებისთვის, ინსტიტუტებისთვის), რომლებიც იყენებენ დამოუკიდებელ, არასაუნივერსიტეტო დომენურ სახელებს ვებგვერდისა და ელექტრონული ფოსტის მისამართებად, უზრუნველყოს:

ა) უნივერსიტეტის დომენური სახელის ქვედომენების დარეგისტრირება;

ბ) მათი თანამშრომლებისთვის საუნივერსიტეტო ელექტრონული საფოსტო მისამართების (firstname.lastname@iliauni.edu.ge) დარეგისტრირება;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ვებგვერდების ინტერნეტში განსათავსებლად ჰოსტინგ-სერვისის გამოყოფა.

3. დაევალოს ინივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს დამოუკიდებელი საიტის შექმნის, რეკონსტრუქციისა და ინტერნეტში განთავსების (ჰოსტინგ-სერვისის შერჩევის) საკითხების შეთანხმება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების ასლების გადაცემა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისთვის.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **სერგო რატიანი**